საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

ბოცვრის ბიოლოგიური და კვების თავისებურებანი

(რეკომენდაცია)

თბილისი
2019

UDC (ულაკ)636.92+591.53
გ - 922

რეკომენდაციის ავტორები:
ჯემალ გუგუშვილი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,

მარინე ბარვენაშვილი - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი.

რედაქტორი: ელგუჯა შაფაქიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სსმმ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი.

სსმმ აკადემიის გამომცემლობა „აგრო“

ISBN 978-9941-8-1535-5

ბოცვრის ბიოლოგიური და კვების თავისებურებანი

ბოცვერი სასოფლო-სამეურნეო ცხოველებს შორის ყველაზე მალმწიფადი და ნაყოფიერი ცხოველია. ერთი დედლისგან თავის ნამატით შესაძლებელია წლის განმავლოვაში მივიღოთ 50 კგ ხორცი და 30 ტყავი. ბოცვრის ტყავი გამოიყენება , როგორც ნატურალური, ისე საიმიტაციოდ.

ბოცვრის ხორცი ადვილად მოსანელებელი, დიეტური პროდუქტია, რომელიც რეკომენდირებულია ბავშვებისათვის, ხანდაზმული ადამიანებისათვის, აგრეთვე იმ პირებისათვის, რომლებიც დაავადებული არიან კუჭის, ღვიძლის და გულსისხლძარღვთა სისტემით.

ბოცვერი მიეკუთვნება კურდღლიანთა ოჯახს (Oructolagus cuniculus). მიუხედავად მათი გარეგანი მსგავსებისა, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რიგი ბიოლოგიური თავისებურებებით - კურდღლის მაკეობა გრძელდება 50 დღე, ბოცვრის - 30 დღე. ბაჭიები იბადება თვალდახუჭული, ტიტველი, ორი-სამი კვირის განმავლობაში იმყოფებიან დედასთან ერთად, წოვების პერიოდი გრძელდება ერთი თვე, ხოლო კურდღლის 4-5 დღე. ბოცვრის სიცოცხლის ხანგრძლივობა 6-7 წელია, ხოლო სამეურნეო მიზნით გამოიყენება 3-4 წლის ასაკამდე.

გარეული ბოცვერი შინაურთან შედარებით პატარა ტანისაა საშუალოდ 2კგ- ს იწონის. იკვებება მცენარეული საკვებით, ცხოვრობს კოლონიებად ითხრის ორმოს და შიგ ბინადრობს, ღამის ცხოველია (საკვების მიღებას, მოგებას ძირითადად ღამის პირობებში ასრულებს). მოშინაურების შედეგად ბოცვერს მნიშვნელოვნად შეეცვალა ცოცხალი მასა, სხეულის სიგრძე, ექსტერიერი, ბეწვოვანი საფარის შეფერილობა და ა.შ.

ბოცვრის ცოცხალი მასა მერყეობს 2 -დან 8 კგ-მდე, ნაყოფიერება საშუალოდ 7-8 ბაჭია. აქვს წაგრძელებული ფორმის სხეული, მოკლე კუდი, გრძელი ყურები 5-7 სმ. ახალშობილ ბაჭიებს აქვთ 16 სარძეო კბილი, ზრდასრულ ცხოველებს - 28 კბილი. წვრილი ნაწლავის სიგრძე მერყეობს 250-300 სმ -ის ფარგლებში, ხოლო მსხვილი ნაწლავის სიგრძე 120-140 სმ-ს შეადგენს. ბოცვრის კუჭი ერთკამერიანია 6-8 სმ სიგრძის. ბალახს ინელებს 2-3 საათის, ხოლო კონცენტრირებულ საკვებს 3-5 საათის განმავლობაში.

ბოცვერი სხვა სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისაგან განსხვავებიუთ, კარგად ინელებს საკვებს, მათ შორის: ცილებს 68,5%, ცხიმებს 68,8%, უაზოტო ნივთიერებებს 82,9%. მაკეობის ხანგრძლივობა 30 დღეს გრძელდება. დაბადებული ბაჭიების ცოცხალი მასა დამოკიდებულია ბუდეში არსებული ბაჭიების რაოდენობაზე, კვებაზე და ჯიშზე. ახლად დაბადებული ბაჭიების მასა მერყეობა 60-90 გ-მდე. დედალ ბოცვერს ოთხი წყვილი სარძეო ცური აქვს, 20 დღის ასაკამდე ბაჭიები იკვებებიან მხოლოდ დედლის რძით, დღე-ღამეში დედალი ბოცვერი გამოყოფს 50 -დან 200 გრ-მდე რძეს, რომელიც მაღალი

ყუათიანობით ხასიათდება. ბოცვრის რძე შეიცავს 10-20 % ცხიმს, 13 % ცილას, 1,8-2,1 % რძის შაქარს, 0,64 % კალციუმს, 0,4 % ფოსფორს.

ბოცვერს განსხვავებული თვისება ახასიათებს - კოპროფაგია (ჭამს ღამის ფეკალს). ღამის ფეკალური მასა, როგორც გარეგნული ასევე ქიმიური შემადგენლობით განსხვავდება დღის ფეკალისაგან, ღამის შედარებით რბილი, ტენიანია, მდიდარია A ვიტამინით, დიდი რაოდენობით შეიცავს 27-28 % პროტეინს. კოპროფაგია არის ბოცვრის ბიოლოგიური უნარი ორგანიზმში შეინახოს მნიშვნელოვანი რაოდენობის ვიტამინები და უკეთესად გამოიყენოს პროტეინები.

ბოცვერის ჩონჩხი 48 მალისაგან შედგება, რომლებიც უძრავად შეკრულია, ხრტილოვანი ჩანაფენებით და ერთმანეთთან იოგებით არიან დაკავშირებულები. კუნთის ძირითად საფუძველს განივზოლიანი ბოჭკოები წარმოადგენენ, რომელთა შეკავშირების საფუძველზე იქმნება კუნთის სხეული, მყესების საშუალებით კუნთი ემაგრება ძვლებს და ორგანოებს.

ტყავის მასა, ცხოველის საერთო მასის 18 %-ს შეადგენს. ტყავის სიდიდის მიხედვით არჩევენ: მსხვილი, რომლის ფართობია 1900 სმ^2, წვრილი -1300 სმ^2-ზე ნაკლები ფართობით. ბოცვრის ბეწვი გამოიყენება საგალანტერიო ნაწარმის დასამზადებლად. სათივთიკე ჯიშის ბოცვერი თივთიკის მაღალი პროდუქტიულობი გამოირჩევა. ზრდასრული ცხოველი წელიწადში 600-800 გრ თივთიკს იძლევა.

ჟანგბადის საშუალებით უჯრედში მიმდინარეობს ჟანგვა -აღდგენის პროცესები. სუნთქვა, სუნთქვის ორგანოების (ხორხი,ბრონქები, ფილტვები) საშუალებით წარმოებს, ბოცვერი ერთი საათის განმავლობაში ცოცხალი მასის ერთ კილოგრამზე 500-600 სმ^3 ჟანგბადს ითვისებს, წუთში 50-60-ჯერ სუნთქავს. ბოცვრის გული კუნთოვანი ორგანოა, რომელიც ცოცხალი მასის 0,25-0,35 %-ს შეადგენს.

სისხლი სხვადასხვა დანიშნულებას ასრულებს, უჯრედებამდე მიაქვს საკვები, ჟანგბადი, ორგანიზმში არეგულირებს ტემპერატურას, იცავს მიკრობებისაგან, ანეიტრალებს ტოქსინებს და ა.შ. სისხლი ბოცვერის ცოცხალი მასისი 5-7%-ს შეადგენს. ბოცვრის სხეულის ნორმალური ტემპერატურა მერყეობს 38-39^0 C-მდე. ზამთარში დახურულ შენობაში შენახვის პირობებში სხეულის ტემპერატურა იკლებს 37^{0}C-მდე, ხოლო ზაფხულში მატულობს 40-41^{0}C.

ბოცვერი ბალახის მჭამელი ცხოველია, აღნიშნულის გამო ბოცვერი ადვილად შესანახია, ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ძირითად საკვებად სასურველია გამოყენებული იქნას მწვანე საკვები ბუნებრივი და ნათესი ბალახის სახით. მწვანე საკვებით ბოცვერი აკმაყოფილებს ორგანიზმის მოთხოვნას სრულფასოვან ცილებზე, ნახშირწყლებზე, ვიტამინებზე და მინერალურ ნივთიერებებზე. ამ სახის საკვებთა შორის განსაკუთრებით კარგია პარკოსანი და პარკოსან-მარცვლოვანი ბალახნარევი, იონჯა,

სამყურა, ესპარცეტი, ცერცველა და სხვა. მათი ულუფაში შეტანით შესაძლებელია შემცირდეს მარცვლის მიცემა და 2-ჯერ გაიაფდეს ბოცვრის კვება.

გაზაფხულზე ბოცვერი ბალახით უნდა იკვებოს მცირე დოზით, მოზარდები - 60გ, ზრდასრული -150გ.

შემოდგომით ბოცვრის საკვებად შეიძლება გამოყენებული იქნეს კარტოფილის, სტაფილოს, ჭარხლის, კომბოსტოს ფოთლები.

უხეში საკვებიდან ბოცვრის საკვებად იყენებენ თივას, ნამჯას, განსაკუთრებით კარგია პარკოსანი - იონჯა, სამყურა, პარკოსან-მარცვლოვანი - ცერცველა, შვრიის თივა. ზრდასრულ ცხოველს დღე-ღამეში 100-200გრ.

წვნიან საკვებ საშუალებათა შორის ძირითადია სტაფილო, ჭარხალი, მიწავაშლა, კომბოსტო. ზამთრის პერიოდში წვნიანი საკვები ავსებს ვიტამინების დანაკლისს და ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას. ზრდასრულ ბოცვერს წვნიანი საკვები შეიძლება მიეცეს 500-600გ, ხოლო მოზარდ ცხოველს 350-400 გრ.

კონცენტრულ საკვებთა შორის ძირითადია მარცვლეული - ქერი, შვრია და სიმინდი. მცირე რაოდენობით შეიძლება საკვებად გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა სახის კოპტონები, ქატო და კომბისაკვები. ბოცვრის კვებაში კონცენტრატების დამატების საჭიროებას განაპირობებს ის გარემოება, თუ რამდენად უკეთესად იქნება უზრუნველყოფილი ბოცვერი ძირითადი საკვებით - ზაფხულში მწვანე ბალახით, ხოლო ზამთარში თივით.

დაგრილების წინა პერიოდში ბოცვერს უნდა ჰქონდეს კარგი ნასუქობა. მამლის სქესობრივი აქტივობა და სპერმის ხარისხი დამოკიდებულია საკვებში ცილების, ვიტამინების და მინერალური ნივთიერებების არსებობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე საკვები უნდა იყოს პროტეინებით (კოპტონი, მარცვალი 20-30 გრ), A,E,D ვიტამინებით და მინერალური ნივთიერებებით (ხორცის და ძვლის ფქვილი 2-4 გრ) მდიდარი.

საყუათო ნივთიერებების ნაკლებობა აფერხებს ნაყოფის ნორმალურ განვითარებას, ამიტომ ულუფაში შეტანილი ინდა იქნეს კომბისაკვები, შვრია, პარკოსნის მარცვალი (80-100გ), მწვანე საკვებიდან სტაფილო, სილოსი. ვიტამინებიდან - თევზის ქონი (2გ). ბოცვრის კვება ლაქტაციის პერიოდში უნდა წარიმართოს ძირითადად სხვადასხვა კონცენტრატული და წვნიანი საკვებით. აღნიშნული პერიოდისათვის საუკეთესო საკვებად ითვლება ზაფხულში - მწვანე ბალახი, ზამთარში - ბალახის ნარევი. ულუფაში კონცენტრატების წილი უნდა გაიზარდოს 60-70%-მდე, ბოცვერს უნდა მიეცეს შვრია, სიმინდი, ხორბლის ქატო (60-80 გრ), ძვლის ფქვილი (3-4 გრ). ბაჭიების ასხლეტა ხდება - 30-45 დღის ასაკში. აღნიშნულ პერიოდში მოზარდის ულუფა უნდა შედგებოდეს მაღალი ყუათიანობის და ადვილად ასათვისებელი საკვებისაგან, ასეთებია ახლად წამოზრდილი ბალახი ან ვიტამინებით მდიდარი პარკოსანი, თივა, შვრია და ა.შ.

ამრიგად ბოცვრის მოშენებას ხელს უწყობს მისი ბიოლოგიური და კვების თავისებურებები, აგრეთვე ის გარემოება, რომ ადვილად შესანახია და მრავალი სახის იაფი საკვებით იკვებება.